

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და
უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის მიღების მიზეზი:

კანონის შემუშავება გამოწვეულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 28 დეკემბერს (23 პუნქტიანი) და 2008 წლის 14 მარტს (3 პუნქტიანი) განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით, რაც თავის მხრივ განპირობებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFSM 2001) მეთოდოლოგიის მიხედვით შემუშავებული ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის დანერგვით.

ახალი GFSM-2001 კლასიფიკაცია 2009 წლის პირველ იანვრამდე ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე, ხოლო 2009 წლის პირველი იანვრიდან აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე.

ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზნად ისახავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებებს:

1) პირველ მუხლში, გათვალისწინებულია რედაქციული ცვლილებები;

2) მე-2 მუხლის:

• პირველ პუნქტში, ხორციელდება ტერმინის - „ნაშთი“-ს და „თავისუფალი ნაშთი“-ს დამატება, ასევე ამოღება ტერმინისა - „ბიუჯეტის ხარჯები“, „მიმდინარე საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები“, ხოლო ტერმინი - „ასიგნება“ იცვლება ტერმინით - „ასიგნებები“-თ;

• მე-5 პუნქტში, ტერმინი - „დაფინანსებული ხარჯების“, შეიცვალა ტერმინით - „განხორციელებული ასიგნებების“;

• მე-7 პუნქტში, ტერმინი - „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან“, შეიცვალა შესაბამისი კანონის შინაარსის ცვლილების გამო;

• მე-10 პუნქტში, ტერმინი - „რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების“, შეიცვალა ტერმინით - „ბიუჯეტის“, ხოლო ტერმინი - „ხარჯების“, შეიცვალა ტერმინით - „მის“;

• მე-15 პუნქტში, ტერმინი - „რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა“, შეიცვალა ტერმინით - „იმ სახსრების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად“;

• მე-17 პუნქტში, ტერმინი - „საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება“, შეიცვალა ტერმინით - „ამ კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემოსულობები“;

• მე-18 პუნქტში, ტერმინი - „ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.“, შეიცვალა ტერმინით - „ამ კანონის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადასახდელები.“;

• მე-19 პუნქტში, ტერმინი - „ფინანსური დახმარება“ შეიცვალა ტერმინით - „გრანტები“ და განმარტებული იქნა შესაბამისად;

3) მე-2 მუხლს ემატება მე-20 პუნქტი, რასაც განაპირობებს ახალი GFSM-2001 კლასიფიკაცია. ასევე, ემატება 21-ე პუნქტი „ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი“, რომლითაც ავტონომიური რესპუბლიკისათვის ისაზღვრება რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი;

4) მე-3 მუხლში, ტერმინი - „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცვალა შესაბამისი კანონის სათაურის ცვლილების გამო, კერძოდ ეწოდა „შემოსულობების განაწილების წესის შესახებ“;

5) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, პირველი წინადადება - „დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია კანონმდებლობით განსაზღვრული შემოსულობებითა და უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ხარჯების გაწევის დამოუკიდებელი განსაზღვრით.“, იცვლება წინადადებით - „**რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობების წყაროები და საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.**“;

6) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში, ხორციელდება რედაქციული ცვლილებები;

7) მე-10 მუხლში, ტერმინი - „ხარჯის“, იცვლება ტერმინით - „გადასახდელის“, ასევე, ამ პუნქტში ხორციელდება მეორე წინადადების „მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია.“, დამატება;

8) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში, ტერმინი - „საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების წყაროების“, იცვლება ტერმინით - „შემოსულობების“, ემატება ტერმინი - „და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური“, ასევე, ტერმინი - „დახმარების საფუძველზე“, იცვლება ტერმინით - „**მიღებული ან გადაცემული გრანტებით.**“;

9) მე-12 მუხლში, ტერმინი - „ხარჯების გაწევას“, იცვლება ტერმინით - „გადასახდელების გადახდას“, ასევე, ხორციელდება ტერმინის - „და ამ კანონით“ ამოღება;

10) მე-14 მუხლში, ხორციელდება რედაქციული ცვლილებები, კერძოდ პუნქტების სხვადასხვა წინადადებებში ჩაემატა ან ამოღებული იქნა ტერმინი - „პროექტის“, „და ანგარიშგებაზე“, ასევე ტერმინი - „დამტკიცება“ იცვლება ტერმინით - „მიღება“;

11) მე-15 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით ისევე, როგორც „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ანალოგიურად);

12) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით ისევე, როგორც „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ანალოგიურად);

13) მე-18 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში, ტერმინი - „ხარჯების“ იცვლება ტერმინით - „გადასახდელების“. ასევე, 1-ელ პუნქტს ემატება წინადადება - „რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად.“;

14) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში, ტერმინი - „დამტკიცება“, იცვლება ტერმინით - „მიღება“;

15) მე-20 მუხლი იყო 7 პუნქტიანი, ხდება 8 პუნქტი. მუხლის სათაურს დაემატა სიტყვა - „ავტონომიური რესპუბლიკის“ და იგი ჩამოყალიბდა როგორც „ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი“. მსგავსი ცვლილებები იქნა შესაბამისად შეტანილი აღნიშნული მუხლის სხვა პუნქტებშიც. ამავე მუხლის მე-4 პუნქტში (პუნქტის დამატებით) განისაზღვრა „ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები“. მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ჩაემატა ტერმინი „არანაკლებ“, „გ.ბ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია „ფისკალური საფუძვლების პროგნოზებით“, „გ.გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია „და ძირითადი ფისკალური მიზნების დასაფინანსებლად საჭირო მოთხოვნებს“, „გ.დ“ ქვეპუნქტში ჩაემატა ტერმინი „და ბიუჯეტის დეფიციტის“;

16) 21-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ხორციელდება ტერმინის - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრის შემდეგ“ ამოღება, ხორციელდება ვადის დაწესება (საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ მე-13 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით), ხოლო მე-2 პუნქტში გათვალისწინებულია რედაქციული ცვლილებები;

17) 22-ე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში, ტერმინი - „ხარჯების“, შეიცვალა ტერმინით - „ასიგნებების“, ხოლო მე-3 პუნქტში ჩაემატა ტერმინი - „ავტონომიური რესპუბლიკის“;

18) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინი - „თანდართულ მასალებთან“ შეიცვალა ტერმინით - „დანართებთან“, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, ტერმინი - „ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის მესამე დონის“, შეიცვალა ტერმინით - „საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველაზე დაბალი თანრიგის“. დაემატა ახალი „ბ“ ქვეპუნქტი - „მომუშავეთა რიცხოვნობას, მიმდინარე მაჩვენებლიდან გადახრების ჩათვლით;“, ამოღებულ იქნა „დ“ ქვეპუნქტი. „ზ“ ქვეპუნქტში, ტერმინი - „დანართებს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გათვალისწინებული თითოეული ასიგნების შემადგენელი (დაკონკრეტებული) ხარჯების“ ნაცვლად, ჩაიწერა - „დანართებს (საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გათვალისწინებული გადასახადების დეტალური გაწერის)“. 24-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა მე-3 პუნქტი;

19) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტში, ემატება ტერმინი - „განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით და“, ხოლო მე-4 პუნქტში, თარიღი „25“ - იცვლება - „15“-ით;

20) 26-ე მუხლის ახალი რედაქცია საშუალებას იძლევა გაიმიჯნოს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები და ის ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს ბიუჯეტის კანონის პროექტი; პირველ პუნქტში თარიღი - „15“, იცვლება - „1“-ით. ემატება მე-2 პუნქტი. მე-3 პუნქტში ამოღებულია - „დ) საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებსა და საჭიროებისას ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილ სახსრებს;“ და გათვალისწინებულია რედაქციული ცვლილებები;

21) 27-ე მუხლის სათაურში ტერმინი - „დამტკიცება“, იცვლება ტერმინით - „მიღება“;

22) 28-ე მუხლს („ასიგნებები რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიუღებლობის შემთხვევაში“) ემატება სამი ახალი პუნქტი (1-ლი და მე-2, ხოლო არსებული პუნქტი დაინომრა 4-ით);

დღეისათვის არსებული მდგომარეობით პროცედურა - რა მოხდება იმ

შემთხვევაში, თუ უმაღლესი საბჭო არ მიიღებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს, დაუსრულებელია, რაც ითხოვს გადაწყვეტას და წარმოდგენილია იერარქიულად უპირატეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, გამოყენებულია ანალოგი საქართველოს პარლამენტთან მიმართებაში და საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ მინიჭებული უფლებამოსილებები, კერძოდ:

მუხლი 14

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო პროცესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 19

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თუ:

ბ) იგი ვერ ახორციელებს ამ კანონით ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 18

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;

მუხლი 12

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას ან/და იგი ვერ ახორციელებს ამ კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

ასევე, გასათვალისწინებელია:

- მუხლი 7, პუნქტი 1 (მონიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილებების განუხორციელებლობის პირობების წარმოქმნა, თუ არ დამტკიცდება ბიუჯეტი);

- საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 93, პუნქტი 6), საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (მუხლი 19, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“; მუხლი 14, პუნქტი 3; მუხლი 18, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ“)

- საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 93, პუნქტი 3), საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ (მუხლი 22, პუნქტი 5^ა; მუხლი 25, პუნქტი 1), საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (მუხლი 182, პუნქტი 9).

- საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 93, პუნქტი 6), საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (მუხლი 12, პუნქტი 1; მუხლი 14, პუნქტი 3; მუხლი 14, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“); საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (მუხლი 182, პუნქტი 8)

23) 29-ე მუხლის მე-3 პუნქტში, ტერმინი - „და“ იცვლება ტერმინით - „ან/და“, ხოლო მე-3 და მე-5 პუნქტში, ტერმინი - „შემოსავლების“, ტერმინით - „შემოსულობების“. მე-5 პუნქტში ასევე ემატება ტერმინი - „ან მეტი“;

24) 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში, ტერმინი - „ხარჯის გაწევაზე“, იცვლება ტერმინით - „გადახდის განხორციელებაზე“. სახელმწიფო ხარჯებისა და

ფინანსური ანგარიშგების (PEFA-ს) სტანდარტებიდან გამომდინარე კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტში (შესაბამისად მე-9-შიც) განსორციელებული ცვლილების შესაბამისად, მხარჯავ დაწესებულებებს შორის ასიგნებების გადანაწილების 10%-იანი შეზღუდვის ნაცვლად, დაწესდა 5%-იანი შეზღუდვა. ამავე დროს კანონს დაემატა 38¹ მუხლი, რომლითაც წესდება გამონაკლისი აღნიშნული ნორმიდან. მე-9 პუნქტში ტერმინი - „10 %-ის ფარგლებში“, იცვლება ტერმინით - „ამავე მუხლის მე-8 პუნქტით დაწესებული ნორმის ფარგლებში“, ხოლო ტერმინი - „სხვა შემთხვევაში“, იცვლება ტერმინით - „ნორმის ზევით“.

25) 30-ე მუხლს ემატება მე-10 პუნქტი, რომელშიც განსაზღვრულია მინისტრის უფლებამოსილება განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში, ხოლო პირველ პუნქტში განსაზღვრულია რედაქციული ცვლილებები (საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ მუხლი 16, პუნქტი 1 და საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ მუხლი 14, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“).

26) 31-ე მუხლის პირველ პუნქტში, გათვალისწინებულია რედაქციული ცვლილებები, ხოლო მე-2 პუნქტში ხორციელდება ტერმინის – „მიზნობრივი პროგრამის სახით“ ამოღება;

27) 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, ტერმინი - „ფუნქციონალური და ეკონომიკური“ - იცვლება ტერმინით - „საბიუჯეტო“. ხოლო, მე-5 პუნქტში, ემატება ტერმინი - „არა უგვიანეს 1 ნოემბრისა“. ასევე, მე-6 პუნქტის არსებული ჩანაწერი „გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა და დამტკიცება ხორციელდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-V თავში განსაზღვრული პრინციპების) შესაბამისად,“ ყალიბდება იგივე რედაქციით, როგორც წარმოდგენილია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, კერძოდ:

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება (29.12.2006 N4238)

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ თავში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 48. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების დამტკიცება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 1 ნოემბრისა იღებს დადგენილებას ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. თუ საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთ თვეში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და

დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. (24.02.2004 N 3361)

28) 34-ე მუხლის მე-2 პუნქტში, ტერმინი - „ხარჯებთან“ იცვლება ტერმინით - „გადასახდელებთან“, ტერმინი - „ხელმძღვანელობის ზედამხედველობით“, იცვლება ტერმინით - „ხელმძღვანელთა უშუალო ზედამხედველობით.“;

29) 34-ე მუხლს ემატება ახალი „31.“, რაც აწესრიგებს უმაღლესი საბჭოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობას (საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, მუხლი 14, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“) აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას;“, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი მუხლი 122 პუნქტი 2, მუხლი 123, მუხლი 137 პუნქტი 1);

30) 38¹ მუხლის განმარტება იხილეთ 24-ე პუნქტში.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრას.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონის პროექტის მომზადების პროცესში ოფიციალური კონსულტაციები არ გამართულა, თუმცა რამდენიმე თვის განმავლობაში ეწეობოდა განხილვები ყველა დაინტერესებულ პირებთან (მ.შ. სახელმწიფო დაწესებულებები), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან, კანონის პროექტის შესაბამისობის თაობაზე. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, მათთან კონსულტაციები და ექსპერტიზა დაგეგმილია საკანონმდებლო ინიციატივის დაწყების მომენტიდან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.